ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

იურიდიულ საკითხთა, ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა, სარეკიზიო, ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის, გარემოს დაცვის, განათლების და კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა, სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიების

გაერთიანებული სხდომის

ოქმი № 1

17 ნოემბერი, 2017 წელი ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი № 2

13:00 სთ

სხდომას ესწრებოდნენ:

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის წევრები: მარიკა დარჩია, გიორგი ბირბიჩაძე, ანა ლაშხი, გულია გოცირიძე, თარაშ შურღაია.

11 კომისიის გაერთიანებულ სხდომას საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე უძღვებოდა.

დღის წესრიგი:

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის (ვიცე მერი), მერის მოადგილეების, მერიის ადმინისტრაციის უფროსის, საქალაქო სამსახურის უფროსების, რაიონის გამგებლების თანამდებობებზე დანიშვნაზე თანხმობის მიცემასთან და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის უფროსის თანამდებობაზე არჩევასთან დაკავშირებით.

კომისიის სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება კომისიის სიითი შემადგენლობის უმრავლესობა.

კომისიების გაერთიანებულ სხდომაზე კენჭი ეყარა სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების საკითხს.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით კომისიამ

დააადგინა:

დამტკიცდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გაერთიანებული სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს: სხდომაზე საკრებულოს წევრებმა თბილისის ვიცე-მერობის კანდიდატს ირაკლი ხმალაძეს მოუსმინეს, რომელმაც ქალაქის მთავრობის ოთხწლიანი სამოქმედო გეგმა წარმოადგინა. მისი განცხადებით, ძირითადი პრიორიტეტები დედაქალაქის განვითარებაზეა ორიენტირებული, რომელიც თბილისს ეკონომიკურ-კულტურულ ცენტრად გადააქცევს და თითოეულ თბილისელს საცხოვრებლად კომფორტულ გარემოს შეუქმნის.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეებად დასახელებულნი არიან გიგა ნიკოლეიშვილი, მაია ბითაძე და ირაკლი ბენდელიანი. ირაკლი ხმალაძის შეფასებით, თითოეული მათგანი პროფესიონალიზმის, მაღალი კვალიფიკაციისა და სამუშაო გამოცდილების გათვალისწინებით შეირჩა.

ვიცე-მერობის კანდიდატმა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსის თანამდებობაზე ვლადიმერ ჭიღლაძე წარადგინა და საქალაქო სამსახურების ხელმძღვანელობის კანდიდატებიც დაასახელა. კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე წარდგენილია გივი კუბლაშვილი, ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის

თანამდებობაზე ანდრია ბასილაია, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უდროსის თანამდებობაზე ირაკლი გვილავა, იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე სერგო ბირკაძე, საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე გაიოზ თალაკვაძე, ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე მამუკა მუმლაძე, უსაფრთხოების საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე ნიკოლოზ ჭონქაძე, ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე გიგა გიგაშვილის, კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე სოფიო ხუნწარიას, შესყიდვების საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე გიორგი პაპავას, ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე გელა ჩივიაშვილის და ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე გიორგი ბაგრატიონი.

რაც შეეხება თბილისის რაიონების გამგებლებს, საბურთალოს რაიონის გამგებლის თანამდებობაზე წარდგენილია გაიოზ ვასაძე, მთაწმინდის რაიონის-დავით კირკიტაძე, კრწანისის რაიონის-ლევან ჯაფარიძე, ვაკის რაიონის-ნოდარ ტურძელაძე, დიდუბის რაიონის-ირმა ზავრადაშვილი, ჩუღურეთის რაიონის-ზურაბ ჩიკვილაძე, გლდანის რაიონის-ბექა მიქაუტაძე, ნაძალადევის რაიონის-ირაკლი ხელაძე, ისნის რაიონის-კახაბერ ლაბუჩიძე და სამგორის რაიონის გამგებლის თანამდებობაზე დავით კერესელიძე.

ქ.თბილსისი მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი ტყემალაძემ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე ასარჩევად ბადრი გიორგაძის კანდიდატურა წარმოადგინა.

დეპუტატებთან შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაიმართა. თბილისის მერის მოადგილეობის, საქალაქო სამსახურის უფროსობის და გამგებლობის კანდიდატებმა თბილისის საკრებულოს წევრების მიერ დასმულ კითხვებს ამომწურავი პასუხები გასცეს.

შეხვედრის ბოლოს კომენტარები გააკეთეს როგორც საკრებულოს უმრავლესობის, ასევე ოპოზიციის წარმომადგენლებმა.

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარემ თინათინ ნიბლოშვილმა აღნიშნა, რომ კიმისიამ დეტალურად განიხილა წარმოდგენილი კანდიდატების ბიოგრაფიული მონაცემები, მხედველობაში მიიღო მათ მიერ სხვადასხვა პერიოდში მიღწეული წარმატებები და კომისიის წევრების მხრიდან დადებითად იქნა შეფასებული თითოეული კანდიდატის დამოკიდებულება ქალაქში განსახორციელებელ პროექტებთან დაკავშირებით.

ვიცე-მერობის კანდიდატმა ირაკლი ხმალაძემ კონსტრუქციული შეკითხვების დასმისთვის დეპუტატებს მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ შეკითხვების უმეტესი ნაწილი თბილისელების პრობლემებზე იყო ორიენტირებული.

შეხვედრის დასასრულს შემაჯამებელი კომენტარი გააკეთა საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი ტყემალაძემ. „ ძალიან კონსტრუქციული განხილვა იყო და საკმაოდ საინტერესო კითხვები იქნა დასმული როგორც უმრავლესობის, ასევე უმცირესობის წარმომადგენლების მხრიდან და ყველა მათგანს გაეცა ამომწურავი პასუხი.

დარწმუნებული ვარ, რომ თბილისს ეყოლება ღირსეული მთავრობა, რომელიც იზრუნებს თითოეული ჩვენი თანამოქალაქის კეთილდღეობის გაუმჯობესებაზე, ზოგადად თბილისში მდგომარეობის, ასევე ინფრასტრუქტურის მოწესრიგებაზე და დაალაგებს ყველა იმ საკითხს, რითაც ჩვენ პასუხისმგებლობა და ვალდებულება ავიღეთ თბილისელების წინაშე“-განაცხადა გიორგი ტყემელაძემ.

დაადგინა: 11 კომისიის გაერთიანებულ სხდომაზე საკრებულოს წევრებმა წარმოდგენილ კანდიდატურებს დადებითი რეკომენდაცია მისცეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად, რომელიც ასევე 17 ნოემბერს, 17:00 საათზე გაიმართება.

სხდომის თავმჯდომარე თ. ნიბლოშვილი თინათინ ნიბლოშვილი